# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 8 სექტემბერი № 97 (11583) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



— თბილისი. 1880-იანი წლები — „პასკევიჩ-ერევანსკის“ მოედანი



— „პასკევიჩ-ერევანსკის“ მოედანი 1850-60-იან წლებში



1990 წლის 27 აგვისტო — ლენინის მოედანი

## —როგორი უნდა იყოს მომავალში დღეს უკვე სახელაღდგენილი თავისუფლების მოედანი

ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მე-5 გვერდზე მსჯელობს

**მწერალი გურამ პეტრიაშვილი**

### ქრონიკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:** ბრძანებულებით გაუქმდა ქალაქ ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონები. ამასთან დაკავშირებით შეწყვეტილია ქალაქ ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების დეპუტატთა უფლებამოსილებანი.

ჩვენი საქართველო

# ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკური პლატფორმის შესახებ

**დღევანდელი** საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში შექმნილ ძალთა განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვილაპარაკოთ მკვეთრად გამოხატულ სამ მიმართულებაზე. სამივე მიმართულების საბოლოო სტრატეგიული მიზანი, დეკლარაციულ დონეზე მაინც, საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობაა. მათ შორის განსხვავება კი მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მიღწევის ტაქტიკურ პლატფორმათა სხვადასხვაობაშია. ე. ი. არსებობს პრაქტიკულ ქმედებათა სამი მოდელი, რომლის არჩევანიც უნდა მოახდინოს საქართველოს მოსახლეობამ.

ასეა, თუ ისე, ტაქტიკურ პლატფორმათა ანუ პრაქტიკულ ქმედებათა მიღებული მოდელი მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა საბოლოო სტრატეგიული მიზნის — სრული დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში და სხვა არაფერი. ამიტომ თითოეული მოდელი მხოლოდ ამ კუთხით უნდა იყოს განხილული.

სქემატურად დავახასიათოთ ეს სამი ტაქტიკური მოდელი და შეძლებისდაგვარად შევაფასოთ მათი ავკარგიანობა.

პირველი მოდელის მხარდამჭერთა აზრით, საჭიროა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარება მრავალპარტიულობის საფუძველზე, დღესდღეობით არსებული საოკუპაციო რეჟიმის პირობებში. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად მოსალოდნელია პროცესების ასეთი განვითარება, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში რეალური ძალაუფლება კვლავდაკვლავ დარჩება საოკუპაციო ხელისუფლების ხელში. საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია, თეორიულად, შესაძლებელია ორი გზის გამოყენებით:

პირველი — საოკუპაციო რეჟიმის არსებობას საქართველოში უნდა გამოეცალოს სამართლებრივი საფუძვლები, რაც შეუძლებელია მეტროპოლიასა და კოლონიას შორის მოლაპარაკების გარეშე.

ამ დროს შესაძლებელია საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ჯარის გაყვანას (ან სულ გაყვანას) საქართველოდან. შეიცვლება მხოლოდ საჯარისო ნაწილების დისლოცირების სამართლებრივი სტატუსი. ხელშეკრულების საფუძველზე, ეს შეიძლება იყოს განლაგების ადგილზე მყოფი საჯარისო ნაწილების პოლიტიკური ნეიტრალიზაციისა და ტერიტორიული ლოკალიზაციის სტატუსი, შესაბამისი საარენდო გადასახდელების გამოყენების საფუძველზე, საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საოკუპაციო რეჟიმის მეორე და უფრო რეალური გზაა — იმპერიული სისტემის ეკონომიკური ქვესისტემის რღვევა და მისი გამანადგურებელი კრახი.

საერთოდ, ორმხრივი მოლაპარაკების მოსალოდნელი შედეგები განხილული უნდა იყოს უფრო ფართო კონტექსტში.

მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც ისტორიას ბარდება სამხედრო სტრატეგიული ინტერესების მსოფლიო ბალანსის (პარიტეტის) პრიორიტეტული ღირებულება, წინა პლანზე იწევს ეკონომიკური ინტერესებისა და ბალანსის ღირებულება (თუნდაც რად ღირს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესები; იმპერია წავიდა სამხედრო პარიტეტის დარღვევაზე; შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის და ნატოს ბლოკების ძირეული რეფორმაციაც, სამხედრო სტრუქტურების პოლიტიკურ სტრუქტურებად გარდაქმნის თვალსაზრისით; ეს პროცესები უკვე აღარ აღელვებს იმპერიას).

საგარეო ეკონომიკური ინტერესების გარდა, იმპერიას აქვს შიდა ეკონომიკური ინტერესები წლების განმავლობაში შექმნილი შიდა ეკონომიკური სტრუქტურის (საერთო ინფრასტრუქტურით, საწარმოო სიმძლავრეების დღევანდელი ტერიტორიული განლაგებით, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურად მიუღებელ კოოპერაციულ კავშირურთიერთობებს და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოქმედი საწარმოო-სამეურნეო ერთეულების ურთიერთმიბმას) მყისიერი რეფორმაცია და დეინტეგრაცია არ შედის მის ინტერესებში, ვინაიდან ამგვარი სახის პროცესებმა, მისი აზრით, შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური და სოციალური სახის „აფეთქება“, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მკვეთრი დესტაბილიზაციის პირობაცაა. იმპერია შეიძლება წავიდეს ყოველნაირ დათმობაზე, მაგრამ იგი არამც და არამც ნებაყოფლობით არ დათანხმდება მოქმედი ეკონომიკური „ქსოვილის“ შეკვეცაზე და ამ სახის სტრუქტურულ მყისიერ რეფორმაციაზე.

ამგვარი პოზიცია კი თავისთავად გულისხმობს პოლიტიკური კონფედერალიზმის შექმნის აუცილებლობას, რაც ორმხრივი მოლაპარაკების დროს იმპერიის მხრიდან შესაძლო დათმობის ზღვარად შეიძლება იქნეს მიჩნეული (საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არსებული პირველი პლატფორმის მიმდევრები კატეგორიულად უარყოფენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში შესვლას, მაგრამ ისინი არ აზუსტებენ თავიანთ დამოკიდებულებას სხვა სახის ხელშეკრულებების მიმართ).

პირველი ტაქტიკური მოდელის **ერთ-ერთი სახესხვაობის** ავტორები თვლიან, რომ სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე საქართველომ უნდა გაიაროს ორი შესაბამისი ფაზა.

პირველი ფაზა — ესაა საქართველოს შესვლა კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში დღევანდელ მოკავშირე რესპუბლიკებთან. კონფედერაციული ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, დადებული უნდა იქნეს ერთი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით. შემდეგი მოწვევის პარლამენტს კი უნდა შეეძლოს ამ კონფედერაციული ხელშეკრულების პროლონგაცია ან დენონსირება.

ამ ფაზის განმავლობაში შესაძლებლადაა მიჩნეული არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების რეკონსტრუქცია და შესაბამისი რეფორმაცია და აქედან გამომდინარე ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეულის მომზადება, რომელსაც მომავალში რეალურად შეეძლება დამოუკიდებელი ფუნქციონირების განხორციელება.

კონფედერაციული ფაზის განმავლობაში, შესაძლებლადაა მიჩნეული დღეს არსებული შიდასაკავშირო ეკონომიკური კოოპერაციული სტრუქტურის თანდათანობითი რეკონსტრუქცია, მისი აქცენტის გადატანით კავშირის მიღმა არსებულ საწარმოო ერთეულებზე და დახურული საწარმოო ციკლის მქონე საწარმოების მომრავლებაზე თვით საქართველოში (სახალხო მეურნეობის სტრუქტურისა და ორიენტაციის რეკონსტრუქცია).

მეორე ფაზა გულისხმობს განმათავისუფლებელი მოძრაობის აყვანას მეორე უფრო მაღალ ეტაპზე, რომლის ძირითადი ლოზუნგიც იქნება საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. მიჩნეულია, რომ პირველ ფაზაში ამისათვის შექმნილი იქნება შესაბამისი საერთაშორისო პირობებიც. იგულისხმება, რომ საქართველო ამ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შევა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში და მას ექნება საერთაშორისო ხმის უფლება, რაც მისცემს მას საშუალებას კატეგორიულად დასვას თავისი სრული თვითგამორკვევის საკითხი.

განხილული ტაქტიკური პლატფორმის ავტორთა აზრით, რეკონსტრუქციის პირველი ფაზის განმავლობაში ხდება დღევანდელი განწირული იმპერიის და შემოთავაზებული ტაქტიკური პლატფორმის მიმდევართა პოლიტიკური ორიენტირების დამთხვევა, რაც გამორიცხავს ამ ორი პოლიტიკური ორიენტაციის დაპირისპირებას აღნიშნული ფაზის განმავლობაში.

მათივე აზრით, დროით ლიმიტირებული კონფედერაციული ხელშეკრულების არსებობა და გარკვეული სამართლებრივი ბარიერები, მომავალში იძლევიან საშუალებას უმტკივნეულოდ მოხდეს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაყვანა მისი განვითარების მეორე ფაზაში.

მეორე ტაქტიკური მოდელის დამცველები თვლიან, რომ საჭიროა ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩატარება, რომელსაც გადაცემული ექნება მოსახლეობის ნდობის მანდატი. თავიდან ამ მოდელის ავტორთა შორისაც შეიმჩნეოდა ორი პრინციპულად გამიჯნული მიმართულება. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ კონგრესი ყოფილიყო ალტერნატიული სახელისუფლებო ორგანო, მეორენი კი მას აკისრებდნენ პარალელური არასახელისუფლებო ორგანოს ფუნქციებს. დღევანდელი სიტუაციით თუ ვიმსჯელებთ, აქცენტირებულია კონგრესის, როგორც პარალელური ორგანოს, იდეა.

შესაძლებლადაა მიჩნეული კონგრესის მიერ შემდეგი ფუნქციების განხორციელება:

პირველი — ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებელი ორგანოს ფუნქცია;

მეორე — მსოფლიოს პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან კავშირურთიერთობის დამყარების ფუნქცია;

მესამე — მომავალი საქართველოს სამართლებრივი საფუძვლების შემუშავების ფუნქცია;

მეოთხე: ოფიციალურ ხელისუფლებაზე ზეგავლენის ანუ ლობისტური ფუნქციის განხორციელება; გარკვეული „დიალოგური მექანიზმის“ გამოყენების საფუძველზე;

მეხუთე — ერთობლივი პოლიტიკური აქციების ხელმძღვანელობის ფუნქცია;

მეექვსე — პოლიტიკური გათვითცნობიერების შეტანა საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებში.

კონგრესის იდეის მიმდევრების აზრით, კონგრესმა, მისი არჩევის შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა დააფიქსიროს საქართველოს დე-ფაქტოდ არსებული კოლონიური სტატუსი და საერთაშორისო სამართლისა და სამართალსუბიექტების რეალური მხარდაჭერით აღიდგინოს უკანონოდ წართმეული სახელმწიფოებრიობა.

დღევანდელ პირობებში, როდესაც გორბაჩოვის საგარეო პოლიტიკური პრესტიჟის რეიტინგი ძალზედ მაღალია, რა თქმა უნდა, ძნელია შესძლო პოლიტიკური შედეგების წინასწარი პროგნოზირება საერთაშორისო სამართალთან აპელირების გზით.

იმავე დროს არ შეიძლება უკვე დღესვე არ დავინახოთ კონგრესის (როგორც ოპოზიციურ ძალთა საკრებულოს), პოზიტიური როლი საქართველოს შიდა პოლიტიკური სტრუქტურის სრულყოფისა და რეფორმაციის საქმეში. დღეს ასეთი სტრუქტურა (თავისი ცივილიზებული ფუნქციონირების წესით) საერთოდ არ არსებობს და სწორედ ამ მიზეზით ხდება ხოლმე სერიოზული საკითხების ოლხოკრატიული მეთოდებით გადაწყვეტა. ფაქტობრივად ჩვენ ვიწყებთ პოლიტიკური ცნობიერების ანბანურ ჭეშმარიტებათა შესწავლას და ამ საქმეში კონგრესს, რა თქმა უნდა, შეუძლია ქმედითი როლის შესრულება.

მესამე ტაქტიკური მოდელის მიმდევართა აზრით, აქცენტირებული არ უნდა იყოს არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები.

არჩევნები, ასე თუ ისე, წყვეტენ ხელისუფლებისა და ძალაუფლების მოპოვების საკითხებს და არარეალური და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ოპოზიციური ძალები დღევანდელ პირობებში იბრძვიან არჩევნების გზით სახელისუფლებო ორგანოში მოხვედრაზე, უნდათ მათ თუ არა ეს, ისინი თავის თავზე ღებულობენ პასუხისმგებლობას ქვეყნის განვითარებისა და ფუნქციონირების მდგომარეობაზე. ამ ტაქტიკური ხერხით კომუნისტები ახერხებენ პასუხისმგებლობის გადანაწილებას თავიანთი უნიათო მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული შედეგებისათვის და იტოვებენ რეალურ ადგილს პოლიტიკურ სპექტრში მონაწილეობისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე არაა საჭირო ოპოზიციის შესვლა სახელისუფლებო სტრუქტურაში. დაე, ერთმმართველმა ხელისუფლებამ როგორც მართა დღემდე ქვეყანა, ისევე გააგრძელოს მართვა. მის მიერ „არჩეული“ უზენაესი საბჭო კვლავაც დაკომპლექტდეს ნომენკლატურული, ერთმმართველი ხელისუფლებისადმი ლოიალური პირებით, რომლებიც ბოლომდე გამოავლენენ თავიანთ უუნარობას ქვეყნის მართვის და წინსვლის საქმეში.

დრო თამაშობს ჩვენს სასარგებლოდ და ამიტომ არამცდა არამც არ უნდა წავიდეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

იმპერიული და უნიტარული სახელმწიფოებრივი სისტემა ჩიხშია მომწყვდეული. საბაზრო ეკონომიკა ვერ იკიდებს ფეხს კომუნისტების პოლიტიკური მესიანიზმის გამო, რაც ბუნებრივი მოვლენაა. ეს ორი ცნება და მოვლენა ურთიერთსაპირისპირო ნიშნის მატარებელია და მათი ერთდროული არსებობა შეუძლებელია. საბაზრო ეკონომიკას შეუძლია გააჯანსაღოს რღვევის პროცესში არსებული ქვეყნის ცალ-ცალკე აღებული სხვადასხვა ნაწილი, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ არსებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სრული პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პირობებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს გადაწყვეტილებათა მიღების ლოკალიზაციას**, ამიტომ, უნდა თუ არა ვინმეს, საბაზრო ეკონომიკა უნიტარული სახელმწიფოს დეინტეგრაციის პირდაპირი საშუალებაცაა. თვით დეინტეგრაციის პროცესის დაღმავალი მიმართულება და მისი ბუნებრივი გამოვლენის დასრულების ქვედა საზღვარი კი უპირატესად გავა ეროვნული ნიშნით შეკრული მომავალი სახელმწიფოებრივი ერთეულების საზღვრებზე. ამ პირობითი საზღვრების შიგნით იმოქმედებს ცალკე ფუნქციონირებადი სისტემის შემაკავებელი, ეროვნული ნიშნით გამოხატული მაინტეგრირებელი ძალები, რომლის ზღვარზედაც მოხდება ხელოვნურად შექმნილი უნიტარული სისტემის დეინტეგრაციის პროცესის „ჩაქრობა“. უნიტარული სისტემის რღვევა წარმოშობს რამდენიმე დამოუკიდებლად ფუნქციონირებად სისტემებს, რომელთა შორის ურთიერთობაც გადაყვანილი უნდა იქნეს პრინციპულად ახალ მარეგულირებელ საწყისებზე.

იმპერია ძველი მეთოდებით ველარ განახორციელებს მართვის ფუნქციას. ის იძულებულია წავიდეს საბაზრო ეკონომიკაზე და შესაბამისად სახელმწიფოებრივ დეინტეგრაციაზე. სანამ ეს არ მოხდება, შენარჩუნებული იქნება იმპერიის რღვევის [illegible] ტენდენციები.

მოკლედ თუ შევაჯამებთ მესამე ტაქტიკური მოდელის მიმდევრების აზრს, შეიძლება ითქვას შემდეგი: საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმპერიული სისტემის ეკონომიკური ქვესისტემის შემდგომი კრახის კვალობაზე. ეკონომიკური რღვევის ტენდენციები სახეზეა, მაგრამ ეს პროცესი არაა ჯერჯერობით მისული ბოლომდე. ოფიციალური ხელისუფლების იმედები კონვერსიაზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ვერ მოახდენენ ეკონომიკური სტრუქტურის რადიკალურ გაუმჯობესებას, სამეურნეო მექანიზმის შეცვლის გარეშე. გულუბრყვილოა, აგრეთვე, ოფიციალური ხელისუფლების იმედები იმპერიის ეკონომიკის სტაბილიზაციისა და გაჯანსაღების ე. წ. პროგრამა — „500 დღე“-ზე. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე საჭირო არ არის ოპოზიციის შესვლა სახელისუფლებო სტრუქტურაში და ამით პოლიტიკური პასუხისმგებლობის გადანაწილება ქვეყნის მართვის საქმეში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ პერმანენტული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ჩატარებულ „უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებს“.

არსებული სისტემა აგონიის სტადიაშია. ამ პირობებში მოქმედ სტრუქტურაში შესვლა, რბილად რომ ითქვას, დაუშვებელია. სხვა საქმე იქნებოდა, მოქმედი სისტემა სტაბილურ სტადიაში რომ ყოფილიყო და აქედან გამომდინარე ეროვნული მოძრაობა სხვა პოლიტიკური ორიენტირების წინაშე აღმოჩენილიყო.

ოპოზიციურ ძალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ მომავალი პარლამენტის არჩევნებში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არა აქვთ რამდენადმე ღირებული კომპლექსური სახის აღმშენებლობითი პროგრამა (თუნდაც კონცეფციის დონეზე). როგორც ირკვევა მათ მიერ გამოქვეყნებული საპროგრამო დოკუმენტებიდან არსებობს მხოლოდ თეზისური სახის ლოზუნგები და დეკლარაციები, რომლებზედაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება აიგოს რამდენადმე ღირებული სერიოზული სახის პოლიტიკა.

შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც გარკვეულწილად შემცირდება არჩევნების ჩატარებისა და შემდგომი პერიოდის ეიფორია (მისი ჩატარების შემთხვევაში), ახალი შემადგენლობის პარლამენტი იძულებული იქნება პრაქტიკული საქმეებით განიმტკიცოს თავისი პოლიტიკური პრესტიჟი, რაც არც ისე ადვილი საქმეა ზემოთაღნიშნული მიზეზების პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის დანერგვა, რომელიც ერთადერთი წამალია თვით დღევანდელი იმპერიული სისტემის მომავალი ნაშთის გაჯანსაღებისა და ფუნქციონირებისათვის, ჩვენ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის ერთადერთი იარაღიცაა. ამიტომ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მის დანერგვას არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ დღევანდელი იმპერიული სისტემის ცალკეულად აღებულ სხვა ნაწილებშიც. მისი დანერგვა კი დაიწყება პოლიტიკური პროცესების განვითარების იმ სტადიაზე, როდესაც განხორციელდება უნიტარული პოლიტიკური ხელისუფლების დემონოპოლიზაცია. ჭეშმარიტი პოლიტიკური დემონოპოლიზაციის დაჩქარებისათვის კი ამ ეტაპზე საჭიროდ მივიჩნევთ დღემდე არსებული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებას და არა მის რეფორმაციას. არსებულმა ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს თავისი პოლიტიკური თვითლიკვიდაციის პროცესი, რომლის შედეგადაა შესაძლებელი მხოლოდ ჭეშმარიტი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება.

**თეიმურაზ შანიძე,**
**საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კათარზისი

# სპეციალური ფურცელი

ჩვენც უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც გაჭირვებულისთვის გავიღებთ, მას თვით მაცხოვარს ვაძლევთ, უფრო სწორად კი ვაძლევთ საკუთარ თავს. საშინელი სამსჯავროს ჟამს ეტყვის უფალი მდგომთა „მარჯუენით მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაითა, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგიან მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

და მიუგოს მეუფემან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყვი თქუენ, რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ" (მათე 25, 34-40).

მოწყალებისა და თანაგრძნობის უნარი, — აი ჭეშმარიტი ბრძნიერება, აი ერთადერთი გზა ზეცად მიმავალი.

**ილია II**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

**(საახალწლო ეპისტოლედან)**

**1990 წ.**

●

თბილისელებმა იციან, რომ ყოველ შაბათს ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენის წევრები ქაშუეთის ტაძრის ეზოში ვიკრიბებით. იციან კი არა, სხვადასხვა ფორმით თვითონაც მონაწილეობენ სათნოების ამ აქციებში.

ვსარგებლობთ „ახალგაზრდა ივერიელის" თავაზიანი ნებართვით და გვინდა პერიოდულად მოგითხროთ იმ ადამიანთა ცხოვრების გზაზე, ვინც დღეს, ჩვენი აზრით, ყველაზე გაჭირვებული და მიუსაფარია დედაქალაქში.

არ გამოვრიცხავთ, რომ მსგავს (ან იქნებ უარეს) მდგომარეობაში მყოფი ზოგიერთი ადამიანის შესახებ ჯერჯერობით არ გვქონდეს ინფორმაცია. თუ ეს ასეა, მოგვწერეთ მათ შესახებ **(ჩვენი საფოსტო მისამართია: 380002, თბილისი, არდონის ქ. № 22).**

## მზად ვართ პიროვნული კათარზისისათვის?

**მარიამ აფხაზავა**

მარიამ აფხაზავა თევდორე მღვდლის ქ. № 4 სახლში დაიბადა. მე-100 საშუალო სკოლის შენობაში მდებარე სასწავლებელში სწავლობდა, როცა დაავადდა. ავადმყოფობა გაურთულდა და ლამაზი გარეგნობის გოიმადაქვეითებული ბავშვი სასწავლებლიდან გამოიყვანეს. მარიამი ერთადერთი შვილი იყო თავისი მშობლებისა და ვერავინ იფიქრებდა, რომ სიცოცხლის ბოლო პერიოდს ქალი თავისივე სახლის სარდაფში, წარმოუდგენელ სილარიბესა და ანტისანიტარიაში გაატარებდა.



მანამდე კი გათხოვების ზეიმი ჰქონდა. თუმცა მალე დაქვრივდა. მშობლებიც დაეღუპა და დარჩა დაბადებიდან ბრონქიალური ასთმით დაავადებული ქალიშვილი.

მერე ერთ-ერთმა მეზობელმა რუსთავში გადააცვლევინა ბინა. დღესაც ვერ გეტყვით მარიამ აფხაზავა, რატომ დათანხმდა. არც ბინა იყო უკეთესი და არც რაიმე დაინტერესებას ჰქონდა ადგილი. მეზობელს ასე აძლევდა ხელს სამაგი გაცვლისათვის და საკითხიც გადაწყდა.. თბილისში მ. აფხაზავა ინვალიდობის პენსიას იღებდა. არავინ იცის, დედაქალაქში დაიკარგა მისი საბუთები თუ რუსთავში. ერთი რამ კი ცხადია—რუსთავში გადასვლის დღიდან პენსია არ მიუღია. ძველებურ თბილისურ ეზოში მარიამსაც იცნობდნენ და მისი მშობლებიც ახსოვდათ, უცხო ქალაქმა კი არც მისი გარეგნობა დატოვა შეუმჩნეველი და არც ინვალიდობა დაინდო. გაურკვეველ სიტუაციაში (ქალი ვერაფერს იხსენებს, გარდა პანიკური შიშისა) უცნობებმა პირადი ნივთები დაუწვეს, საბუთები დაუხიეს და მოკვლის მუქარით ბინიდან გამოაგდეს.

უსახლკაროდ დარჩენილი ისევ მშობლებისეულ სახლს მიადგა. ძველ მეზობლებს შეეცოდათ, გაუთავისუფლეს ნესტიანი სარდაფი და მ. აფხაზავამ, ასთმიან ქალიშვილთან ერთად, აქ დაიდო ბინა. ამგვარ პირობებში ასთმიანი ავადმყოფი დიდხანს ვერ გაძლებდა და უკვე ხანშიშესულ მოხუცს ქალიშვილი გარდაეცვალა. ხოლო რადგან მცირეწლოვანი შვილიშვილის მოვლა-პატრონობის არანაირი საშუალება უსახსრო მარიამს არ ჰქონდა, მეზობლებმა 8 წლის თინა ბექაური თბილისის ბავშვთა სახლს მიაბარეს. ახლა თინა 13 წლისაა და კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის ბავშვთა ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატის ბინადარია.

დღეს 75 წლის მარიამ აფხაზავას ახლობელი არავინა ჰყავს ცისქვეშეთში, მას არც ბინა აქვს, არც პენსია და არც პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი.

სარდაფში, სადაც მარიამ აფხაზავა ათევს ღამეს, მწერები და



მღრღნელები ლაღად გრძნობენ თავს. რაიმე პირობებზე, ბუნებრივია, ლაპარაკი ზედმეტია. ხოლო სარდაფის კედლები და ჭერი ივლისის დღეებშიც კი არ შრება.

**ვახტანგ მათიაშვილი**

ოციანი წლების მიწურული იდგა, დედა რომ გარდაეცვალა. დედა მისთვის უკანასკნელი ახლობელი ადამიანი იყო და როცა ვერაფერი გააგებინა, უმწეო ბავშვი თურმე მიცოცდა მასთან და უსულო სხეულს ჩაეხუტა... არავინ იცის, როდის გაიღებოდა მათიაშვილების ოჯახის კარი, გვამის სუნს რომ არ შეეწუხებინა მეზობლები... ძლივს მოაცილეს ხორწნადაწყებულ მიცვალებულს ცოცხალმკვდარი ბავშვი, და, უკვე მეორე ჯგუფის ინვალიდი, ბავშვთა სახლს მიაბარეს. ბინა სახელმწიფოს გადაეცა (?). მერე 13 თუ 14 წლის ბიჭი ბავშვთა სახლიდან გამოიქცა და ისევ საკუთარ უბანს მოაკითხა. მაგრამ არა როგორც უბნის ბინადარმა, არამედ... მოწყალებისათვის ხელგაწვდილმა. ქაშუეთის ტაძრის ეზოს შეეკედლა და იქვე ვილაცისაგან გათხრილ სოროში დაიდო ბინა. მეზობლებს შეეცოდათ და ბნელ და ცივ სარდაფში ადგილი მისცეს დასაძინებლად.

ეს სარდაფიც არ არის მისი. აქ, ცემენტის იატაკსა და კედლებზე მიჭედილ ფიცრებზე, ათასგვარ ისეთ ნივთს ნახავთ (ლითონის ბადეები, ცარიელი ქურქელი და სხვ.), რასაც, როგორც წესი, სარდაფში ინახავენ ხოლმე. მორჩენილ კუნჭულში კი ვ. მათიაშვილს ნახევარსაწოლი უდგას, მატარებლის კუპეში რომ გვინახავს, ისეთი.

მღრღნელებითა და მწერებით გავსებული სარდაფი, ვახტანგ მათიაშვილის თავშესაფარი, მთავრობის სახლიდან ოციოდე მეტრითაა დაცილებული.

რაც არ უნდა გასაოცარი მოგეჩვენოთ, ვ. მათიაშვილი და მ. აფხაზავა ბედს არ ემდურიან. ისინი იმისთვისაც კი მადლობელნი არიან ღვთისა, რაც აქვთ. ასეც რომ არ იყოს, საკუთარი ინტერესების დაცვა მათ არ შეუძლიათ. ისინი უმწეო ბავშვებივით არიან მონდობილი ჩვენზე, საზოგადოებაზე, ამიტომაც საზოგადოებამვე უნდა გადაწყვიტოს სჭირდება თუ არა მარიამ აფხაზავასა და ვახტანგ მათიაშვილს ამ ორ მარტოხელა ხანდაზმულ ინვალიდს თუნდაც ყველაზე მოკრძალებული ბინა. უნდა აღუდგინონ თუ არა 75 წლის ქალს დაკარგული პენსია, აგრეთვე, იმის დამადასტურებელი რაიმე საბუთი, რომ იგი ცოცხალია და ჩვენს გვერდით ცხოვრობს.

იმან, თუ პრაქტიკულად რას მოიმოქმედებენ კონკრეტული უწყებები, როგორ დაინტერესებას გამოიჩენს საზოგადოებრიობა ამ ადამიანთა ბედისადმი, უნდა წარმოაჩინოს რამდენად მზად ვართ პიროვნული თუ ეროვნული კათარზისისათვის, რამდენად სერიოზულია ჩვენი ლტოლვა სულიერი თავისუფლებისაკენ, რომლის გარეშე არანაირი სხვა თავისუფლება არ არსებობს.

**სათნოების ორდენი**

**სურათებზე:** ვახტანგ მათიაშვილი და მარიამ აფხაზავა.

# შიდსი: როგორ დავიცვათ თავი

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საბოლოოდაა დადგენილი შიდსის გადაცემის გზები. ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საშუალებას, რამეთუ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს დასნეულების რისკი.

შიდსით დაავადება შეიძლება მხოლოდ ვირუსმატარებელი ან სნეული ადამიანისაგან, ე. ი. ინფექციის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ადამიანი. სწორედ აქ, ინფიცირებულ ორგანიზმში (უმეტესწილად სისხლის უჯრედებში — ლიმფოციტებში და სისხლმბად ორგანოებში) ბინადრობს ვირუსი.

შიდსი ყველაზე უფრო ხშირად სქესობრივი კავშირებით გადაეცემა. ცნობილია, რომ სქესობრივი აქტისას თითქმის ყოველთვის ხდება სასქესო ორგანოების ლორწოვანის მიკროტრავმირება. ამ დროს გამოყოფილი სისხლი, სპერმა და საშოს გამონადენი შეიზიდება მიკროჭრილობაში და თუ ეს ბიოლოგიური სითხეები შეიცავენ ვირუსს, ხდება ადამიანის ინფიცირება.

ადამიანის დასნეულების რისკი იზრდება მისი სქესობრივი პარტნიორების რიცხვის ზრდასთან ერთად. ასე რომ, **ცოლქმრული თანაცხოვრების კულტურის დაცვა**, რაც პირველყოვლისა მეუღლეთა ურთიერთერთგულებას გულისხმობს, **შიდსისაგან თავდაცვის ერთ-ერთი გარანტიაა.** იმათ, ვისთვისაც ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს, უნდა ახსოვდეთ, რომ **პრეზერვატივის ხმარება გარკვეულწილად ამცირებს ინფიცირების რისკს.** ამიტომ უცნობ, ან საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებთან სქესობრივი კონტაქტისას მისი გამოყენება აუცილებელია.

ვირუსის გავრცელების მეორე გზა მისი სისხლით გადაცემაა: ინფიცირებული სისხლის გადასხმა ან ასეთი სისხლით დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტების (შპრიცები, ნემსები, სტომატოლოგიური და გინეკოლოგიური ინსტრუმენტები და სხვა) გამოყენება.

განსაკუთრებით საშიშია ვირუსით დაბინძურებული ნემსის შეყვანა ინტრავენურად. ამ დროს დაავადების რისკი მეტად დიდია. სწორედ ამ გზით ემართებათ შიდსი ნარკომანებს, ისინი ხომ ძირითადად არ იცავენ სტერილიზაციის წესებს.

თუ განვითარებული ქვეყნების მოქალაქე სექსუალური თავშეკავებლობითა და ნარკომანიისადმი მიდრეკილებით არ გამოირჩევა, იგი გარკვეულწილად გარა-



ნტირებულიც კია, რომ ვირუსი არ შეხვდება, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის იგივე გარანტია არ არსებობს, შიდსის გადაცემის ე. წ. სამედიცინო გზებმა აქ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რადგანაც, როგორც მრავალჯერ თქმულა, სსრკ ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც შიდსი ძირითადად სამედიცინო მანიპულაციების გზით ვრცელდება. ამიტომ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებებისათვის გვიწევს მიმართვა, **უნდა მოვითხოვოთ, რომ ერთჯერადი გამოყენების ინსტრუმენტების პაკეტები ჩვენს თვალწინ გახსნან.** ერთჯერადი ინსტრუმენტების არარსებობის შემთხვევაში უნდა დავრწმუნდეთ, რომ **სამედიცინო საშუალებები სტერილიზებულია.**

მეტად გავრცელებულია მოსაზრება, რომ თითქოს შეიძლება ინექციების გაკეთება ერთი და იმავე შპრიცით, ანუ მხოლოდ ნემსების გამოცვლით. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხდება შპრიცში სისხლის მიკროშეწოვა. ასე რომ, შპრიცის გამოცვლა ყოველი ინექციის შემდეგ აუცილებელია.

შიდსის ვირუსი გადაეცემა ბავშვს დაავადებული ან ვირუსმატარებელი დედისაგან მუცლადყოფნის ან მშობიარობის დროს (შემთხვევათა 50 პროცენტი).

შესაძლებელია დაავადების გადაცემა ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებისას, რომლებზედაც რჩება სისხლის კვალი, თუ ამ ინსტრუმენტებმა განმეორებითი გამოყენების წინ არ გაიარეს სრულყოფილი სტერილიზაცია (საპარსი მოწყობილობა, მანიკურისა და პედიკურის ინსტრუმენტები, მოწყობილობა ტატუირებისათვის და ა. შ.), აგრეთვე აკუპუნქტურის ნემსებითა და სხვა საშუალებებით.

**საპარიკმახეროებში უნდა მოვითხოვოთ მოგვემსახურონ დამუშავებული ინსტრუმენტებით.**

ხანგრძლივმა დაკვირვებამ იმ ოჯახებზე, რომლებშიც ცხოვრობენ ვირუსმატარებლები, დაადასტურა, რომ საერთო ჭურჭლის ხმარება, ერთი ტუალეტით სარგებლობა, თვით ვირუსმატარებლებთან ერთ ლოგინში წოლაც კი არ იწვევს შიდსის გადაცემას. დაავადება არ გადადის ჰაერით, საჭმლით, ჩვეულებრივი კონტაქტებით, აბანოთი და საცურაო აუზებით სარგებლობისას. კოღოები და სისხლის მწოვი სხვა მწერები შიდსის გადაცემაში არ მონაწილეობენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ავადობის სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ შიდსით „შემთხვევით" დასნეულება ფაქტობრივად შეუძლებელია. ზედმიწევნითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში ავადმყოფობის 80% დასნეულდა სქესობრივი გზით, 15% — ნარკოტიკების გამოყენების შედეგად, 3% — სისხლის გადასხმით, 1%-ს შეადგენენ ბავშვები, რომლებიც დაავადდნენ ინფიცირებული დედებისაგან და მხოლოდ 1%-ში რისკის ფაქტორი არ არის დადგენილი.

ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება, სტერილიზაციის წესების ზედმიწევნითი შესრულება დაგვიცავს კაცობრიობის ამ ყველაზე საშინელი სენისაგან.

ვიყოთ კეთილგონიერნი. ნუ ავყვებით პანიკას.

გამოვიჩინოთ მოწყალება იმათ მიმართ, ვინც უკვე დასნეულდა— შიდსი შეიძლება ყველა ჩვენგანს დაემართოს.

**საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება.**

## ალტერნატიული კუთხე

# მრავალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

**ა. წ. პირველ** სექტემბერს რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ელცინმა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ტექსტში ლაპარაკია ხელშეკრულებაზე სუვერენულ რუსეთსა და სუვერენულ საქართველოს შორის; მასზედ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არასდროს ყოფილა ომი და რომ ჩვენს ქვეყნებს ურთიერთთან არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიათ. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს არსებული ხელისუფლებისავე კონსტიტუციური დეკლარირებით 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა დემოკრატიული საქართველოს ანექსია, რაზეც დღემდე არც საბჭოთა კავშირისა და არც რსფსრ-ს არსებული ხელისუფლების არავითარი რეაგირება არ ყოფილა; მაშინ, როდესაც, როგორც იმდროინდელი ბოლშევიკური ბელადები, ისე დემოკრატიული ძალები საქართველოს 1921 წლის თებერვალ—მარტის მოვლენებს ერთხმად უწოდებენ ომს რუსეთსა და საქართველოს შორის.

რუსეთ—საქართველოს ურთიერთობა დიახაც უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად და მას საფუძვლად უნდა დაედოს ორივე მხარისათვის მისაღები ხელშეკრულებანი, მაგრამ ყოველი ასეთი დოკუმენტი შექმნის პროცესშივე საჯარო განხილვის საგნად უნდა იქცეს, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ახალი კაბალური ვალდებულებები.

დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში ხალხისაგან ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მომზადება, როგორიცაა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ხალხისავე ნების იგნორირებისა და მართვის ავტორიტარული სტილის დემონსტრირების ნიმუშია. რესპუბლიკის ამჟამინდელ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ერის ნდობის მანდატი მას არასოდეს მიუღია და ამიტომ მას არც აქვს ხალხის ნების გაუთვალისწინებლად ისეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რომლებიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე უნდა აიკრძალოს რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლების საეჭვო დიპლომატიური აქტივობა. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოწესრიგება, შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება და რატიფიკაცია საქართველოს მომავალი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა.

**1990 წლის 4 აგვისტო.**

---

# სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების განცხადებები

**1990 წლის** 6 სექტემბრის გაზეთში „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოქვეყნებულია მიმართვა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს“.

მიმართვას ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარის სახელით ხელს აწერს ბ-ნი ირაკლი წერეთელი.

წმინდა ილია მართლის საზოგადოება სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ წმინდა ილია მართლის საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას ეროვნული კონგრესის არჩევნებში. იგი გატარდა რეგისტრაციაში საქართველოს უზენაესი საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მონაწილეობს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ 1990 წლის 29 მაისს საზოგადოების 700-კაციან ყრილობაზე საზოგადოებიდან გარიცხულ 45-კაციან ჯგუფს არავითარი უფლება არ აქვს ისარგებლოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით.

ჩვენთვის გაუგებარია, რა სამართლებრივი თუ ზნეობრივი ნორმებით სარგებლობს ბ-ნი ირაკლი წერეთელი, როდესაც ხელს აწერს მიმართვას ბლოკის თავმჯდომარის სახელით, სხვა რომ არაფერი, ეს ხომ პოლიტიკური სპეკულაციაა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით.

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას გააჩნია რეგიონალური განყოფილებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აქვს საკუთარი ბეჭედი და რეგისტრირებულია როგორც საარჩევნო პოლიტიკური ორგანიზაცია.

მოვითხოვთ მომავალში გათვალისწინებული იქნას აღნიშნული მდგომარეობა და აღარ იქნას დაშვებული წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით სპეკულაცია სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან.

**საზოგადოების თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია**

**გამგეობის წევრები: თ. პაატაშვილი, თ. გველესიანი, გ. ჩორგოლაშვილი, მ. ურიდია, მ. მჭედლიშვილი, ვ. ტურაშვილი.**

---

წმინდა ილია მართლის საზოგადოება რეგისტრირებულია როგორც საარჩევნო პოლიტიკური ორგანიზაცია. წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით საზოგადოებას ესაჭიროება მატერიალური მხარდაჭერა.

მოგიწოდებთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წარმოება დაწესებულებებს, კერძო პირებს, შეძლებისდაგვარად შემოიტანოთ შემოწირულებები საზოგადოების ანგარიშზე.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების საბანკო ანგარიშია: „ივერთბანკი“ — მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო.

000161700 (700041).
კოდი 521921.

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობა.**

---

**საქართველოს სოციოლოგიურ ასოციაციასთან არსებული სოციალური კვლევის ცენტრის**

# განცხადება

დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე საქართველო დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის წინაშე დგას: უნდა ჩატარდეს საქართველოს ახალი პარლამენტის მრავალპარტიული არჩევნები.

წინასაარჩევნო პერიოდში (სექტემბერ-ოქტომბერში) საქართველოს სოციალური კვლევის ცენტრი აპირებს საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებელ ფართომასშტაბიან შესწავლას.

აქცენტი გადატანილი იქნება არჩევნებზე, თუმცა გამოკითხვით მოვიცავთ სხვა საკითხებსაც.

გაუგებრობისა და უნდობლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მივიჩნევთ განვაცხადოთ, რომ საქართველოს სოციალური კვლევის ცენტრი არის დამოუკიდებელი, მიუმხრობელი ორგანიზაცია, რომელიც მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ პარტიასა თუ პოლიტიკურ გაერთიანებასთან.

**ცენტრის კარი ღიაა ყველასათვის.**

**ტელ: 81-21-28, 84-40-70.**

---

# ინფორმაცია

**საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის შესახებ**

1990 წლის 13 აგვისტოს სსფ რადიკალური კავშირი გამოეყო საქართველოს სახალხო ფრონტს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად და ეწოდა „საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი“.

1990 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება მრგვალი მაგიდის სხდომაზე საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი მიღებულ იქნა მრგვალი მაგიდის წევრ ორგანიზაციად.

სეფ-რკ-მ 29 აგვისტოს გაიარა რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

**სეფ-რკ-ს პრეს-ჯგუფი**

---

**სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის საინიციატივო ჯგუფის**

# განცხადება

საქართველოს პედაგოგებსა და და დარგის მესვეურებს გაცნობებთ, რომ შემოსული განცხადებებისა და წინადადების გათვალისწინებით გადაწყდა, — სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის დამფუძნებელი კრება ჩატარდება მ/წლის 15 სექტემბერს პროფკავშირების სასახლეში (თბილისი — პ/ფშ. გამზ. № 43) დასაწყისი 12 საათზე, დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს ათი საათიდან.

რაიონების განათლების დარგის მესვეურებს შეგახსენებთ, რომ არჩეული უნდა იქნას ექვსი დეპუტატი თითო რაიონიდან. სიები არა უგვიანეს 12 სექტემბრისა უნდა აცნობოთ საინიციატივო ჯგუფს თბილისში შემდეგ მისამართზე — ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა, კორპუსი 2, ბ. 16 გ. გურგენიძე ტელეფონი — 38-92-79; 37-50-48; 38-89-70; 38-36-42; 38-80-90.

ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე შეგიძლიათ ისარგებლოთ აღნიშნული ტელეფონებით.

---

# შეიქმნა კოოპერატორთა ახალი კავშირი

**4 სექტემბერს** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კოოპერატორთა და მცირე საწარმოთა დამოუკიდებელი კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა და ორგანიზაციას უწევდა 27 ივლისს კოოპერატორთა შეკრებაზე არჩეული საინიციატივო ჯგუფი. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის მცირე ბიზნესისა და კოოპერატიული სექტორის წარმომადგენლებმა.

ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა არსებულ რესპუბლიკის კოოპერატორთა კავშირს.

ყრილობაზე განიხილეს საქართველოში კოოპერატიული სექტორის და მცირე ბიზნესის განვითარების დღევანდელი პრობლემები. ყრილობამ მოუწოდა კოოპერატივებს შეიცვალონ სტატუსი და გადაიქცნენ მცირე საწარმოებად, როგორც საქართველოსათვის უკეთ პერსპექტიულ და მისაღებ ფორმად. კოოპერატორებმა გამოხატეს თავიანთი სურვილი აღარ ერქვათ კოოპერატორები, რადგან ისინი არიან ბიზნესმენები, კომერსანტები.

გაიმართა კოოპერატორთა შეკრება დარგების მიხედვით. შემდეგ გაიმართა შეხვედრები რაიონების მიხედვით.

ყრილობას ესწრებოდა კოოპერატორთა დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში. კოოპერატორებმა სთხოვეს მას, რომ ის 5 მილიონი, რომელიც დღეს შეგროვებული და დაკონსერვებულია, გამოყენებულ იქნეს კოოპერატივებისათვის კომერციული ცენტრის შესაქმნელად.

ყრილობაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ისინი ყოველთვის ამოუდგებიან მხარში ეროვნულ მოძრაობას არ ისპეკულიანტებენ ფასების აწევით.

ყრილობამ მიიღო მიმართვა მთავრობისადმი, რომ გადაისინჯოს იმ პატიმართა საქმეები, რომლებიც დღევანდელი კანონმდებლობით აღარ არიან სასჯელის ღირსი, გათავისუფლდნენ ისინი, როგორც ბიზნესმენები და კომერსანტები. გადაწყდა ნავთობ-პროდუქტებით მომარაგების ფონდის შექმნის საკითხი, რომლის ძირითადი მიზანი იქნება რესპუბლიკაში პირდაპირი კონტაქტებით ნავთობის შემოტანა. ყრილობაზე მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია კოოპერაციის ახალი კანონის შემოღებასთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა იმას, რომ თუ 15 სექტემბრამდე მთავრობა არ შეაჩერებს ამ დადგენილებას, კოოპერატორები მხარს დაუჭერენ გორის კოოპერატორების ინიციატივას და მოაწყობენ ეკონომიკურ გაფიცვას, რაც გულისხმობს იმას, რომ კოოპერატივებისაგან სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაირიცხება არც ერთი კაპიკი.

კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ზოდელავა და სათათბირო 39 კაცის შემადგენლობით.

**ირმა ხარშილაძე.**

---

# ცხადდება კონკურსი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, საქართველოს იუსტიციის კავშირი, საქართველოს დიზაინერთა კავშირი აცხადებს ღია კონკურსს სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოების შესაქმნელად.

**სასამართლო ხელისუფლების სიმბოლიკა უნდა მოიცავდეს:**

**1. მოსამართლის სამოსელს;**
**2. მართლმსაჯულების ამსახველ ემბლემას;**
**3. ადვოკატის სამოსელს;**
**4. სხდომათა დარბაზის ინტერიერის ელემენტებს;**
**4. 1. მოსამართლის, სახალხო და ნაფიც მსაჯულთა მაგიდა და სკამი;**
**4. 2. მდივნის მაგიდა და სკამი;**
**4. 3. პროკურორის მაგიდა და სკამი;**
**4. 4. ადვოკატის მაგიდა და სკამი;**
**4. 5. მოწმის დასაკითხი კათედრა;**
**4. 6. განსასჯელის სამყოფელი;**
**4. 7. თარჯიმნის და ექსპერტის მაგიდა და სკამი.**

სიმბოლოები უნდა გამოხატავდეს სასამართლო ხელისუფლების მაღალ სტატუსს, დამოუკიდებლობას, ითვალისწინებდეს ეროვნულ ტრადიციებსა და ხასიათს, მსოფლიო მოწინავე ქვეყნების სასამართლო წარმოების გამოცდილებას. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ, როგორც ცალკეულ პირებს, ისე შემოქმედებით კოლექტივებს და ორგანიზაციებს.

**კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:**

**ერთი I პრემია — 9000 მანეთის ოდენობით;**

**ერთი II პრემია — 5000 მანეთის ოდენობით;**

**სამი III პრემია — თითოეული 2000 მანეთის ოდენობით.**

პრემირებული პროექტები გადადის იუსტიციის სამინისტროს საკუთრებაში და გამოიყენება დანერგვისათვის. I პრემიის მფლობელი ავტორი ან ავტორთა კოლექტივი მიიღებს დაკვეთას საერთო წესით პროექტის ნატურაში რეალიზაციისათვის.

პროექტები ჩაბარდება, როგორც პირადად ასევე ფოსტით პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში. საკონკურსო მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით — ხუთნიშნა რიცხვით, რიცხვების სიმაღლე 2 სმ. დევიზი იწერება პლანშეტის ზემო კუთხეში. მარჯვენა მხარეს და კონვერტზე. რომელშიც უნდა ჩაიდოს საინფორმაციო ფურცელი: გვარის, სახელის, მამის სახელის, მისამართის (ინდექსი), დაბადების წლისა და სპეციალობის მითითებით. თუ პროექტი შესრულებულია ავტორთა ჯგუფის მიერ, კონვერტში უნდა ჩაიდოს ცალკე ფურცელი თითოეული ავტორის მონაცვლებით და პრემიის პროცენტული განაწილებით. რესპუბლიკის რეგიონების მცხოვრებთათვის პროექტის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება საფოსტო გზავნილობის ქვითრის თარიღი, რომელიც თან ერთვის პროექტს.

საკონკურსო პროექტები უნდა შეიცავდნენ მუყაოს პლანშეტებს ფერში ზომით 75X75 სმ. ესკიზების შესრულების მანერა და მასალა ნებისმიერია და არ იზღუდება. პროექტს თან უნდა ახლდეს ანაბეჭდი განმარტებითი ბარათი ძირითადი იდეის აღწერილობით. დასაშვებია საილუსტრაციო მაკეტების წარმოდგენაც.

**პროექტების ჩატარების ვადაა 1990 წლის 8 დეკემბერი.**

კონკურსის მასალებისა და ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს დიზაინერთა კავშირს.

ქ. თბილისი, 380030, ტელ: 23-13-22, 23-18-40. ბარნოვის 137.

---

# ძეგლები უქმად არა დგანან!

**საქართველოს** დედაქალაქი საქართველოს გულია, ხოლო მოედანი, რომელზეც 27 აგვისტომდე ბოლშევიკური საფრთხობელა იდგა, გულის-გულია საქართველოსი.

ამიტომაც, ცხადზე ცხადია, რომ ეს მოედანი თავის შენობებიანად უბრალო არქიტექტურულ ანსამბლად ვერ დარჩება. მან აუცილებლად უნდა იტვირთოს რაღაც მისია.

რას უნდა ეუბნებოდეს ქართველს მისი ქვეყნის მთავარი მოედანი? ალბათ რაიმეს მეტად მნიშვნელოვანს, ისეთს რაც ერის სასიცოცხლო აზრებთან და გრძნობებთანაა დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ ერთადერთი სახელი, რომელიც შეიძლება ამ მოედანს ერქვას, ესაა — თავისუფლების მოედანი, ხოლო ერთადერთი ადამიანი, ვისი ძეგლიც აქ უნდა დაიდგას. დავით აღმაშენებელია.

თავისუფლების მოედანზე აღმართული ძეგლი მეფეთ-მეფისა დავითისა რწმენას და ძალას შემატებს მის მნახველ ყოველ ქართველს.

შემმატებს, რადგან ზასწაულებრივი სიდიადის საქმენი დავით აღმაშენებლისა არის საბუთი და დასტური, რომ ციხქვეშეთში არაფერია ქართველისთვის მიუღწეველი და მიუწვდომელი.

პიროვნულად დავით მეფე იყო განსახიერება სრულყოფილებისა, მართლაც რომ ღვთის მიერ თავის სახებად შექმნილი.

მეფობა მისი იყო უბადლო:

მემკვიდრეობად მას დარჩა უილაჯო, შეპირვებული და დაქსაქსული სამეფო, ხოლო მისმა გოლიათურმა ძალამ და ნებამ იმ-სამეფოსგან შექმნა თავისუფალი, ძლიერი, სამართლიანი, მშვენიერი და ამაყი საქართველო.

და თუ დღემდე ქართველი კაცის შეგნებას შემორჩა ერთიანი მთლიანი საქართველოს იდეა, ეს იმიტომ, რომ აღმაშენებლის საქართველო ბრწყინავს ქართველის ხსოვნაში.

სწორედ ის სხივოსანი საქართველოა ჩვენი დიდი იმედი: რადგან გვწამს, თუკი ერთხელ ვიყავით ისეთი ძლევამოსილნი და მშვენიერნი, აუცილებლად ვიქნებით კვლავაც.

„რუსთაველის პროსპექტზე სიარულს ნუ მომიშლის ღმერთმა“-ო, თქვა ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე უქართველესმა. ეს მშვენიერი, ნოსტალგიური თქმა თითქოს მუდამ მზად იყო, რომ შეეძინა კიდევ ერთი აზრი.

პროსპექტის თავსა და ბოლოში აღმართული ორი დიადი ძეგლი იქნება ნიშანი ქართველი ერის მარადიული ლამაზი სიცოცხლისა.

ქართველები შვილებთან ერთად გავივლით ხოლმე პროსპექტზე.

და ამ გავლას რიტუალად ვაქცევთ.

სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდან საქმეზე ჩამოსული კაცი თუ ქალი შვილსაც ჩამოიყვანს თბილისში. აჩვენებს დავით აღმაშენებლის ძეგლს და შემდეგ ამ საკვირველი ზეკაცის აურაცხელ სახიკეთო საქმეებზე საუბრით წაიყვანს მეორე ძეგლისკენ.

რუსთაველის წინაც დიდხანს გაჩერდებიან და აუხსნელადაც შეიგრძნობს პატარა ქართველი მისი ჯიშისა და ჯილაგის ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერ საიდუმლოს: აღმაშენებელი თავისუფალი საქართველოა. რუსთაველი კი — თავისუფალი ქართველი ერის სული: სრულყოფილი და ჰარმონიული.

ეხე იგი ქართველები იმიტომ გავჩნდით, რომ თავისუფლებას ველტვოდეთ მუდამ, ხოლო თავისუფლები სილამაზის, სიმართლისა და სიკეთის ღვთიურ სამებას შევხაროდეთ.

ვიცი, რომ საპირისპირო აზრიც არსებობს: ამ გათავისუფლებულ მოედანზე არავითარი ძეგლი არ გვინდაო.

მე რატომაც მინდა, გითხარით. იმათ რატომ არ უნდათ, ვრცლად ჯერ არ უთქვამთ. მოკლედ კი ასეთი ერთადერთი საბუთი შემოგვთავაზა რუსთაველის საზოგადოებამ: „ყველაზე უკეთ ალბათ ჩვენმა მოქანდაკეებმა იგრძნეს, თუ რა ზედმეტია ამ კაშკაშა მოედანზე ყოველგვარი, თუნდ ყველაზე გენიალური ძეგლიც კი“. („აღარავითარი ძეგლი“, „მამული“, № 16. აგვისტო. 1990 წელი).

ჩემს მიერ ხაზგასმული „ალბათ“ მეტყველებს იმაზე, რომ „ოპონენტები“ მთლად დარწმუნებულნი არ არიან თავიანთი მოსაზრების სისწორეში.

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მათგან განსხვავებით ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ მოედანზე სწორედ მეფეთ მეფის ძეგლი უნდა დაიდგას.

ბევრი დავა და დავიდარაბა საჭირო არაა. ერი თვით განსჯის, უფრო სწორად კი თვით იგრძნობს თუ ვინაა მართალი ამ საკითხში. რუსთაველის საზოგადოება თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, რომელმაც ბოლშევიკური კერპის აღებისთანავე დაბეჯითებით განაცხადა, რომ „დადგა დრო უსამართლობით დამძიმებულ მოედანზე დაიდგას საქართველოს მეფეთ მეფის დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომელსაც თაყვანს სცემს ყოველი ქართველი“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 30 აგვისტო, 1990 წ.).

დაბოლოს:

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ დავით აღმაშენებლის იმ ძეგლად, რომელიც ამ მოედანზე უნდა დაიდგას, არა ვგულისხმობ მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილს და ამჟამინდელი ხელისუფლებისგან დამტკიცებულ ქანდაკებას.

ბატონ მერაბს ხალხის სიყვარული არ აკლია.

პირადად ჩემთვის უსაყვარლესი სკულპტურული ქმნილებაა დავით გურამიშვილის ძეგლი, რადგან მეორე ძეგლი არ მეგულება, რომ ასე სრულყოფილად გვაგრძნობინებდეს გამოქანდაკებული პოეტისა და მისი პოეზიის არსს.

სამწუხაროდ, სწორედ ეს აკლია დავით აღმაშენებლის ქანდაკებას: მასში მთელი სისრულით ვერა ჩანს ღვთაებრივი პიროვნება და დიდი მეფე.

ვფიქრობ, ამის მიზეზია ახლახანს დასრულებული ეპოქა, რომლის დროსაც შეიქმნა ეს ქანდაკება.

ბატონი მერაბიც დამეთანხმება, რომ დადგა დრო, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ქანდაკება დაუდგას ძეგლად თავის მეფეებს.

ჩავატაროთ დიდი კონკურსი. გამოფინონ მოქანდაკეებმა თავისი ნამუშევრები. ნუ გვეცოდინება, თუ რომელი ქანდაკება ვისი გაკეთებულია. ნახოს მთელმა საქართველომ და აირჩიოს საუკეთესო.

აუცილებელი არაა, რომ მაინც და მაინც პირველივე კონკურსში გამოჩნდეს დიდი დავითის შესაფერი ძეგლი.

ასეთი ძეგლი რომ შექმნას, ამისთვის ქართული მოქანდაკეობრივი ხელოვნება უკვე უნდა იყოს თავისუფლების იდეით იმდენად შეძრული, რომ მისწვდეს ყველაზე დიდი ქართველის სულის ზესკნელ-ქვესკნელებს.

ხოლო მაყურებლებს უკვე უნდა შეგვეძლოს დავინახოთ, თუ რა აკლია ამა თუ იმ ქანდაკებას და საით უნდა მიმართოს ოსტატმა თავისი უნარი, რომ აღმაშენებელი სრული ბრწყინვალებით გააცოცხლოს ქვამ თუ ბრინჯაომ.

ასე რომ, დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა გამოცდაც იქნება ქართველი ხალხისა, გამოცდა, თუ რამდენად ძლიერ გვინდა თავისუფლება.

გვინდა თუ არა ისე, **რომ უკვე** ღირსნი ვართ მისი?

გვინდა. დიახაც!

**გურამ პეტრიაშვილი**

---

**თბილისის № 150 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი**

**აცხადებს**

მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის სპეციალისტებს:

**1. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი**
**2. მეგალავნე**
**3. რადიოპარატურისა და ხელსაწყოების მემონტაჟე**
**4. ელექტრო მოწყობილობების მომსახურე ელ. მემონტაჟე**
**5 მექანიკურ ხამუშაოთა ამწყობი ზეინკალი**
**6. ავტო შემკეთებელი (მსუბუქი და სატვირთო მანქანების)**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლამდე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30-80 მანეთი სპეციალობის მიხედვით, ფრიადოსნებს 25%-ით მეტი.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე ყველა კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა მისაღები გამოცდები ჩააბაროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ნებისმიერ სპეციალობებზე.

ხოლო წარჩინების კურსდამთავრებულები სარგებლობენ ერთი საგნის ჩაბარების უფლებით მაპროფილებელ სპეციალობებზე, კერძოდ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ქიმიური და ფიზიკური ფაკულტეტები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — საავტომობილო საგზაო, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საინჟინრო ფიზიკური კავშირგაბმულობის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ენერგეტიკის, ელექტრომექანიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტები.

პედაგოგიური ინსტიტუტი — ზოგადტექნიკის ფაკულტეტი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — აგროქიმიური, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ფაკულტეტები.

**შენიშვნა:** წარჩინებით კურსდამთავრებული ვაჟები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიური ტექნოლოგიის და ენერგეტიკულ ფაკულტეტებზე, ასევე ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით საბაზო ორგანიზაციაში.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად და შეადგენს 10 თვეს.

სასწავლებელში მიღება შეწყდება სპეციალობის შევსების დღიდან.

რაიონიდან ჩამოსულებმა უნდა წარმოადგინონ მომართვა ორგანიზაციიდან ან აღმასკომიდან.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად:

**1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი)**
**2. დაბადების მოწმობა (დედანი)**
**3. სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა**
**4. შრომის წიგნაკი**
**5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან**
**6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ)**
**7. ავტობიოგრაფია**
**8. ოთხი ფოტოსურათი (3X4)**

**მისამართი:** ოქტომბრის რაიონი, დ. უზნაძის ქ. № 37, (კორწინების სახლის გვერდით, ყოფილი კამოს ქუჩა).

ტელეფონი: 95-60-78.

ტრანსპორტი: ავტობუსი № 73, 40, 4, 28.

ტროლეიბუსი № 1 ,14.

სამარშრუტო ტაქსი № 14, 30, 60, 59, 53, 6.

**დირექცია.**

---

# კონკურსი

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი აცხადებს ღია კონკურსს საკუთარი ემბლემისა და დროშის შესაქმნელად.

აღნიშნული სიმბოლოები მხატვრულად და იდეურად უნდა შეესაბამებოდეს (მიწათმოქმედთა კავშირის) წესდებასა და პროგრამაში გამოხატულ სულისკვეთებას. ჩანდეს მიწის სიყვარული და ქართველი კაცის ისტორიული დამოკიდებულება მისდამი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი პრემია: 1500-1500 მანეთის ოდენობით (დროშისა და ემბლემისთვის).

ესკიზების წარმოდგენის საბოლოო ვადაა მიმდინარე წლის 10 ოქტომბერი.

კონკურსს შეაჯამებს დარბაზის მიერ შერჩეული ჟიური.

მისამართი: ბარნოვის 170. ოთახი 204. ტელეფონი: 22-06-06.

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი.

---

# ქალიშვილებო!

**სასწავლებლად გიწვევთ № 36 საშ. პროფ. ტექნიკური სასწავლებელი**

**სასწავლებელი ამზადებს:**

1. მქსოველებს თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებისათვის და
2. მკერავებს სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“-სათვის.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები 17-დან 30-წლამდე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 70 მანეთი, ფრიადოსნებს 25%-ით მეტი, გარდა ამისა მოსწავლეებს აუნაზღაურდებათ 50% იმ სამუშაოსათვის, რომლებსაც ისინი შეასრულებენ საწარმოო სწავლების პერიოდში, საბაზო წარმოებაში.

სასწავლებლის ყველა კურსდამთავრებული უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი პროფესიის მიხედვით. სწავლის დრო ჩაეთვლებათ უწყვეტ მუშაობის სტაჟად. სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულები სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნის უპირატესობით.

ძირითად პროფესიასთან ერთად შეისწავლება: ხელით ქსოვა, ჭრა კერვა, პირველადი სამედიცინო დახმარება, კოსმეტიკა.

სასწავლებელს ხელშეკრულება აქვს დადებული ჩეხოსლოვაკიის ქ. ესენიკის საფეიქრო სასწავლებელთან, სადაც ყოველწლიურად საწარმოო პრაქტიკაზე იგზავნებიან თეორიული და საწარმოო სწავლების მოწინავე მოსწავლეები.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები განაწილდებიან საბაზო საწარმოებში პერსონალური საგზურებით, სადაც საშუალო ხელფასი თვეში 250-500 მანეთამდეა.

ყველა კურსდამთავრებულს ეძლევა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლება.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები ჩაირიცხებიან მიმართვის საფუძველზე.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

**1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი);**
**2. დაბადების მოწმობა (დედანი);**
**3. საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა;**
**4. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 286;**
**5. ფოტოსურათი 6 ცალი, ზომით (3X4);**
**6. დახასიათება ბოლო ადგილიდან.**
**სწავლის ვადა არის 10 თვე.**
**სწავლა დაიწყება 17 სექტემბერს.**

**სასწავლებლის მისამართია:**

მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა № 41,, აგრომრეწვის სამინისტროს გვერდით, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე.

ტელ.: 99-81-42; 93-91-67.

ტრანსპორტი ლენინის მოედნიდან: ავტობუსი № 2, 60, 47, 35.

ტროლეიბუსი: 2, 4, 6.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა, დილის 9 საათიდან 17 საათამდე.

ცხრაკლასდამთავრებულები მიიღებიან გურამიშვილის გამზირი 108. ტელ.: 62-52-16.

**დირექცია**

---

**მშობლიურ ენაზე**

თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის აბიტურიენტებმა პირველად ჩააბარეს მისაღები გამოცდები მშობლიურ ენაზე. მიმღები კომისიის აზრით, ამან აბიტურიენტებს შესაძლებლობა მისცა უფრო სრულად გამოევლინებინათ თავიანთი ცოდნა.

**ბულგარეთთან დადებული კონტრაქტით**

დაიწყო სიგარეტების გამომშვები ახალი ხაზის მონტაჟი საწარმოო გაერთიანება „თბილისთამბაქოში“. მონტაჟს ახორციელებენ სპეციალისტები ბულგარეთიდან, სადაც შეძენილია მოწყობილობა. გაისად იგი პირველ პროდუქციას გამოუშვებს.

**საკაბელო ტელევიზია რუსთავში**

ვიდეოპროდუქციის ფართო სპექტრს სთავაზობს ქალაქელებს საკაბელო ტელევიზიის სტუდია, რომელმაც მუშაობა დაიწყო რუსთავში. მისი მიღებისათვის სტუდიის სპეციალისტები ზომიერ ფასად უდგამენ აბონენტებს დეკოდერებს ტელესიგნალის გაშიფვრისათვის. სტუდიის პროგრამაში მულტფილმები ბავშვებისათვის, საესტრადო შოუ, ვესტერნები.

საქინფორმი

---

ჰუმანიტარული ასოციაცია „ქართიზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღის განმავლობაში დაივიწყოს პირადი საზრუნავი და ეს დღე თავის გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ შაბათს, 11 საათისათვის, სათნოების ორდენის წევრები კვლავ იკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში.

---

**გასწორება**

6 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ განცხადებაში ქართული კულტურის ფესტივალის „ჩოხგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ მორიგი კონცერტის შესახებ 11 სექტემბრის ნაცვლად მითითებულ უნდა ყოფილიყო 12 სექტემბერი, აქვე შეგახსენებთ, რომ აღარე შეძენილი ბილეთები ძალაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიოზ არაბაშვილის მოსაგონარი

ჰამლეტ გონაშვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ გაგვნელებია და კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა თავს. გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი მეგობარი, შესანიშნავი პირველი ხმა, ანსამბლ „რუსთავის“ წევრი დღიდან მისი დაარსებისა — გაიოზ არაბაშვილი.

„რუსთავის“ წევრები, ტრადიციულად, ოჯახის წევრებივით განუყოფელი ვიყავით, საერთო სატკივარი და სიხარული გვქონდა, წლების განმავლობაში გასტროლების დროს ოჯახებს მოწყვეტილნი, მთელ დროს ერთად ვატარებდით, ამიტომაა, რომ გაიოზის უდროოდ დაკარგვამ ოჯახის წევრივით დაგვწყვიტა გული.

თუ „რუსთავის“ ოცწლიან შემოქმედებით გზას გადავხედავთ, ნათლად გამოიკვეთება გაიოზ არაბაშვილის სახე ჰამლეტ გონაშვილთან ერთად. ვინ იცის, მის ლამაზ „პირველს“, შერწყმულს ჰამლეტ გონაშვილის განუმეორებელ ხმასთან, რამდენი სიამოვნება მიუნიჭებია ქართველი და უცხოელი მსმენელისათვის.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უდიდეს ქალაქებში: რომსა და ლონდონში, ბერლინსა და ვარშავაში, პარიზსა და ბრიუსელში, მადრიდსა და კიდევ ვინ მოსთვლის სიმღერით განებივრებულ რამდენ საკონცერტო დარბაზში მაყურებელი ოვაციას რომ გვიმართავდა ხოლმე, თვალებგაბრწყინებულ გაიოზს არაერთხელ უთქვამს: მე კი მაინც თელავში სიმღერისა უფრო მეშინიანო.

როგორ მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა. „რუსთავი“ ის იყო ყალიბდებოდა, როცა ახალგაზრდა კაცი მომიყვანეს, კონსერვატორიის სტუდენტი: „გასინჯეთ, იქნებ, გამოგვადგეთო“.—რას იმღერებთ მეთქი, ვკითხე.

— „წინ წყაროს“, — მიპასუხა და ჰამლეტ გონაშვილს აჰყვა.

არასოდეს დამავიწყდება მისი სახე: საშუალოზე მაღალი იყო, სპორტული აგებულების, ხუჭუჭთმიანი, ოდნავ კეხიანი, ლამაზი ცხვირი ჰქონდა, დიდ შავ თვალებში აბრიალებდა, ფერი სულ დაჰკარგვოდა, სიმღერის დროს ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ჰამლეტ გონაშვილისათვის უნდა შეეწყო პირველი ხმა.

პირველმა, თვითონ ჰამლეტმა გამოიტანა „განაჩენი“, ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა და უთხრა: მე და შენ ერთად ვიმღერებთო.

მერე დაძაბული რეპეტიციები წლების განმავლობაში, რეპერტუარის გამდიდრება, რადიოტელეგადაცემებში მონაწილეობა, კინოგადაღებები, ფირფიტებზე სიმღერების ჩაწერა, გასტროლები და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ.

დაძაბულ შრომაში ათმა წელმა განვლო, როცა გაიოზს, სხვებთან ერთად, საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა, დედას ლევანასი მრცხვენიანო — მითხრა.

უცხოეთში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, ქართული სუფრა რომ მოგვენატრება, დღესაც სიამოვნებით ვიგონებთ: თელავში, არაბაშვილებთან ქეიფს არაფერი სჯობდა, გაიოზი ხინკალსა და მწვადს თავისი ხელით დაამზადებდა, მერე კახურ „მრავალჟამიერს“ დაიწყებდა და ისე ლამაზად დაცურავდა სიმღერაში, „ვით წყაროს წყალი ქვებზედა“. მეგონა, მთელი კახეთი ჩვენთან ერთად ქეიფობდა.

# „ვით წყაროს



# წყალი ქვებზედა“

მერე, დილით, ნადიკვარზე აგვიყვანდა და იტყოდა: აბა, გადახედეთ, მთელ მსოფლიოში ამაზე ლამაზი რამ თუ გინახავთო.

მუდამ დუღუგარი, სიცოცხლით სავსე, უკურნებელმა სენმაც კი ვერ მიაჯაჭვა ლოგინს, იგი სიკვდილს ფეხზე მდგომი შეხვდა. ბოლომდე იბრძოდა, ბოლომდე არ დაუკარგავს იმედი: ახლა გერმანიაში წამოვალ, იქ აუცილებლად მომარჩენენ, მერე ფორმაში ჩავდგები და კიდევ ვიმღერებო— ამბობდა.

ვაგლახ, რომ მეტი სიმღერა აღარ დასცალდა, მისი ლამაზი ხმა ჩანაწერებში დარჩა.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობს კინოფილმი „მღერის რუსთავი“, რომელშიაც აღბეჭდილი ჰამლეტ გონაშვილისა და გაიოზ არაბაშვილის შეწყობილი სიმღერები დიდხანს დაატკბობს ქართველ ხალხს.

ანსამბლ „რუსთავის“ სახელით

**ანზორ ერქომაიშვილი**

---

## წერილი რედაქციას

# შხივანა შველას ითხოვს

ამბროლაური — ნიკორწმინდის გზის მე-8 კილომეტრზე, გზის მაჩვენებელ ტრაფარეტზე წაიკითხავთ: — კვირიკეწმინდა 5 კმ, ველევი 9 კმ, თლუღი 2 კმ, შხივანა?

რაჭა, რომ საქართველოს ერთერთი ულამაზესი კუთხეა, ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, მაგრამ ის, ვინც ნამყოფია შხივანაში, დაგვიდასტურებს, რომ ეს სოფელი თავისი ადგილმდებარეობით და ბუნების საოცარი სილამაზით გამოირჩევა არა მარტო რაჭაში, არამედ მთელ საქართველოშიც კი.

ერთ დროს ეკონომიკურად ძლიერი სოფელი, დღეს შველას ითხოვს. 70-წლიანმა ქარტეხილმა არც ჩვენი პატარა სოფელი დაინდო.

იმ პრობლემების ფონზე, რომლებიც დღეს საქართველოში ასე თვალნათლივ გამოჩნდა, ჩვენი სოფლის სატკივარი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს სხეულზე იგი ერთ-ერთი იარაა და ამ იარას მკურნალობა სჭირდება.

შხივანა ამბროლაურის რაიონის ერთი პატარა სოფელია, მდიდარი წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყით, წყაროებით, ხილითა და ნადირ-ფრინველით, სახნავ-სათესი მიწებით.

გასაბჭოებამ, კოლექტივიზაციამ, ინდუსტრიალიზაციამ და სხვა სოციალისტურ-კომუნისტურმა „სიკეთეებმა“ თავისი ქნეს. ამ პატარა სოფლიდან მეორე მსოფლიო ომში 64 ვაჟკაცი იბრძოდა, რომელთაგან 36 შინ აღარ დაბრუნებულა. კოლექტივიზაციის პერიოდში დაანგრიეს და კანტორად გადააქციეს შხივანის მაცხოვრის ეკლესია. ხალხს რწმენა წაართვეს და შრომა გაუუფასურეს. საარსებო წყაროს მოკლებულმა შხივანელმა ქალაქს მიაშურა, სოფელი დაიცალა. ამჟამად შხივანაში მუდმივად ცხოვრობს ათი კომლი, ხოლო დანარჩენები ზაფხულობით თუ მიაშურებენ ხოლმე მამაპაპეულ კერას.

ან კი როგორ არ დაიცლებოდა, როდესაც სოფელში არ არის მაღაზია, კლუბი, კავშირგაბმულობის საშუალება. სასწრაფო დახმარების მანქანის ამოსაყვანად რაიონულ ცენტრში გვიხდება სიარული. კიდევ კარგი, რომ ღვთის მადლით, შხივანელები შესაშური ჯანმრთელობით გამოვირჩევით.

თბილისიდან ამბროლაურამდე 220 კმ-ია, ამბროლაურიდან შხივანამდე — 17 კმ. დაქირავებული სახელმწიფო თუ კერძო მანქანით ამ 17 კმ-ის გავლა 40 მანეთი ჯდება, რადგან ნებისმიერი ჭკუათამყოფელ მძღოლს ამაზე იაფად ამ გზაზე ავტომანქანის დანგრევა აზრადაც არ მოუვა.

მრავალი განცხადების შედეგად 1987 წელს დაიწყო სოფლების ველევისა და შხივანის დამაკავშირებელი გზის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რომლის ექსპლუატაციაში გადაცემა „მშენებლებმა“ „ღირსეულად“ უპატაკეს პარტიასა და მთავრობას, საინფორმაციო წყაროებით აუწყეს სრულიად საქართველოს. ალბათ, ამან მრავალი ქართველი გაახარა, მაგრამ არა შხივანელები, რადგან გზის მშენებლობა კომუნიზმის მშენებლობასავით გაჭიანურდა და ჯერაც ჩანასახის მდგომარეობაშია, ხოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები მიწამ ჩაყლაპა თუ პასუხისმგებელმა პირმა ან პირებმა, არავინ უწყის.

გზის პრობლემა არ აწუხებს მხოლოდ ამბროლაურის სატყეო მეურნეობას. ტრაქტორებით, ბულდოზერებით და სამხიდიანი ყველგანმავალებით „შეიარაღებული“ ადამიანები პირწმინდად თიბავენ ტყეს.

მაშინაც კი, როცა სოფლის მკვიდრი მოსახლეობა რაოდენობრივად რამდენჯერმე აღემატებოდა დღევანდელს და ზამთარ-ზაფხულ სათბობად იყენებდნენ შეშას, ხოლო სამშენებლო მასალად ხე-ტყეს, შხივანის ტყე დღევანდელთან შედარებით, ნაკრძალად გამოიყურებოდა.

60-იან წლებში შხივანაში წარმოებდა ტყის ინტენსიური ჭრა. მართალია, ამის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში აიკრძალა ტყის ექსპლუატაცია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სატყეო მეურნეობისათვის ჭრა ჩეხვით შეეცვალა.

მდგომარეობის შესასწავლად ჩამოსული მრავალი კომისიიდან ამბროლაურს არც ერთი არ გამოსცილებია, სხვა შემთხვევაში გამორიცხულია, რომ ბუნების ამისთანა ბარბაროსულ განადგურებას პატიოსანი ადამიანის აღშფოთება არ გამოეწვია. და თუ ვინმემ მაინც ნახა და თვალი დახუჭა, მის პატიოსნებაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი უნდა შევიტანოთ.

ტყის ფერდობებზე ბულდოზერებით გაჭრილი დროებითი გზები, რომლებიც იწვევენ ნიადაგის ეროზიას და ღვარცოფების საშიშროებას. მოჭრილი ხეები გაუკაფავად, ტოტებით გამოაქვთ და ამას მრავალი ნორჩი ხე და ბუჩქი ეწირება. ტყე დანაგვიანებულია კლიენტების მიერ დაწუნებული მორებით, კუნძებით და გაუკაფავი ხის კენწეროებით. მანქანების ხე-ტყით დასატვირთავად ტყის მდელოებზე ბულდოზერის საშუალებით ითხრება 30 მ. სიგრძის მისადგომი ორმოები ე. წ. „პრისტინები“, რომლებიც პირველივე წვიმის შემდეგ გამოუსადეგარი ხდება და საჭიროა ახალი მისადგომის მოწყობა.

და აი, ასე თანდათან, ნელნელა ულამაზესი ტყე დაემსგავსა ძლიერი დაბომბვის შედეგად გადათხრილ ბრძოლის ველს.

ტყე განადგურდა, გზა დაინგრა, სოფელი დაიცალა, რწმენა დაიკარგა, სამავიეროდ გასქელდა და სქელდება მათი ჯიბეები, ვისაც თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო მაინც უნდა ადარდებდეს ბუნება და სამშობლოს მომავალი.

ჩვენ აქ სოფლის სატკივარის მხოლოდ ნაწილზე მოგახსენებთ, ნაწილზე, მაგრამ უმთავრესზე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იარას მკურნალობა სჭირდებაო. მას მთელმა საქართველომ უნდა უმკურნალოს და, პირველ რიგში, ჩვენ, შხივანელებმა. საამისოდ პირველი მოკრძალებული ნაბიჯი უკვე გადაიდგა, ამა წლის 13 აგვისტოს, როდესაც სოფლის ყრილობაზე გადაწყდა შექმნილიყო საზოგადოება „შხივანა“, რომელიც რეგისტრაციის სტადიაშია. შხივანელები უნდა გახდნენ სოფლის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი და ჩააყენონ სოფელი ერისა და მამულის სამსახურში. გადაწყვეტილია, აღდგეს შხივანის მაცხოვრის ეკლესია, რომლის დანგრევითაც დაიწყო სოფლის განადგურება.

ძვირფასო მკითხველებო! შხივანას თქვენი მხარდაჭერის იმედიც აქვს. მორალური მხარდაჭერის.

**ნუკრი დავლიანიძე,**
**გია იაკობაშვილი.**

---

### საქართველოს ეკონომიკური აღორძინების საარჩევნო ბლოკის

# განცხადება

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა ორგანიზაციის, მათ შორის საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის, გლეხთა პარტიის, მრეწველთა, მშენებელთა, დამოუკიდებელ კოოპერატორთა კავშირების და ცალკეული დეპუტატობის კანდიდატების საყურადღებოთ:

გთხოვთ, თქვენი კანდიდატურები წამოაყენოთ და რეგისტრაციაში გაატაროთ ჩვენთან ამა წლის 17 სექტემბრამდე, ასევე ყველა კანდიდატს ვთხოვთ წარმოადგინონ ფოტოები პლაკატისათვის.

ამა წლის 17დან 19 სექტემბრამდე რესპუბლიკურ ახალგაზრდულ ცენტრ „მავნაბადაში“ მუშაობას დაიწყებს საპარლამენტო სკოლა. კანდიდატების მონაწილეობა სავალდებულოა, მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრებლით.

19 სექტემბრიდან საპარლამენტო სკოლაში, ხელშეკრულებით შესაძლებელია ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ ბლოკის კანდიდატების მეცადინეობა.

ცნობებისათვის მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგი მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 62, ტელ: 22-22-27.

---

# ყურადღება!

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფასიანი სწავლების ფორმაზე ჩარიცხავს იმ აბიტურიენტებს, რომლებიც 1990 წელს მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ უნივერსიტეტში და ყველა საგამოცდო საგანში დადებითი შეფასება დაიმსახურეს.

ხელშეკრულების გასაფორმებლად აბიტურიენტებს და მათ მხარდამჭერებს (მშობელი ან ქველმოქმედი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი) ვიწვევთ სათანადო ფაკულტეტებზე მიმდინარე წლის 11-16 სექტემბერს ყოველ დღე 9.00-16.00 საათამდე.

გაცნობებთ, რომ დაუსწრებელ სწავლებაზე წლიური შესატანი თანხა არის 1500 მანეთი, ჰუმანიტარული სპეციალობების დასწრებულ სწავლებაზე 3000 მანეთი, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური სპეციალობების დასწრებულ სწავლებაზე კი 3200 მანეთი.

უნივერსიტეტი ვერ უზრუნველგყოფთ სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით, სამსახურით და ვერ გადაგვიწყვეტია სამხედრო სამსახურთან თქვენი დამოკიდებულების საკითხებს.

ხელშეკრულება ფორმდება ერთი წლით და განახლდება ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის.

ხელშეკრულება გაფორმდება შემდეგ ფაკულტეტებზე:

ფილოლოგიის (დაუსწრებელი) . .
ისტორიის (დასწრებული და დაუსწრებელი . . . . . . . . .
იურიდიული (დაუსწრებელი) . .
დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენისა და ლიტერატურის (დასწრებული) . . . . . . . . . . .
აღმოსავლეთმცოდნეობის (დასწრებული) . . . . . . . . . . .
ჟურნალისტიკის (დასწრებული და დაუსწრებელი) . . . . . .
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის (დასწრებული) . . . . . . . . .
ბიოლოგიის (დასწრებული) . . .
ეკონომიკური (დასწრებული და დაუსწრებელი) . . . . . . .
ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის (დასწრებული და დაუსწრებელი) . . . . . . .

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალშიც (დასწრებული და დაუსწრებელი).

თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან ადგილობრივი პირობების საფუძველზე, როგორც დასწრებულ ისე დაუსწრებელ სწავლებაზე.

**რექტორატი**

# ჩვენი საგამოფენო დარბაზი



გალაკტიონ ტაბიძე

ნახატი დავით კაკაბაძისა



ეროსი მანჯგალაძე, ემანუილ აფხაიძე

ნახატი გიგლა ფირცხალავასი

სანამ დავით გუჯუკაშვილის ოცნება ახდება იუმორის სახლის არსებობაზე, მანამდე ქალიშვილთან, თამუნა გუჯუკაშვილთან, ერთად შეგროვებული შარჟების კოლექციას თბილისის მხატვრის სახლი მასპინძლობდა.

მათ ოჯახში შენახული ხუთასამდე ექსპონატის მხოლოდ მცირე ნაწილი და-ეტია ორ საგამოფენო დარბაზში.

რამდენიმე ექსპონატს დღეს გთავაზობთ.



პაოლო იაშვილი ნახატი შალვა ქიქოძისა



ლადო გუდიაშვილი

ნახატი გიგლა ფირცხალავასი



შალვა დადიანი

ნახატი დონისა (დავით ნაცვლიშვილი)

# ჩვენი საგამოფენო დარბაზი

ალორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

# საჭადრაკო სიახლეები

ჭადრაკის სამყაროში ზედიზედ იმართება დიდი ტურნირები, რომლებიც ფართო საზოგადოებრიობის თვალსაწიერშია მუდამ. ამ საპრესტიჟო შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობენ ქართველი მოჭადრაკეები. ზედმეტი თავმდაბლობა იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ ისინი, განსაკუთრებით მოჭადრაკე ქალები, ყველგან დიდად სახურველი მონაწილენი არიან. ამაზე მათი შედეგებიც მეტყველებენ.

## ქეთევან არახამიას ახალი აღზევება

საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატი დიდად პრესტიჟული ტურნირია, რადგან მასში მსოფლიოს აღიარებული მოჭადრაკეები მონაწილეობენ. ამას წინათ ქალაქ პოდოლსკში გამართული ჩემპიონატი, რომელიც 1927 წლიდან ტარდება, რიგით 50-ე იყო. მართალია, ამჯერად სტარტზე არ გამოსულა რამდენიმე ცნობილი დიდოსტატი, მაგრამ შემადგენლობა მაინც საკმაოდ ძლიერი გახლდათ. ამიტომაც საბჭოთა ჭადრაკის მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ ჩემპიონი საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში ჩაირიცხებოდა.

ბრძოლაში 18 მოჭადრაკე ჩაება, მათგან ორი ქართველი — საქართველოს ჩემპიონი, დიდოსტატი ქეთევან არახამია და ოსტატი, 17 წლის ნათია ჯანჯღავა.

თავიდან დაწინაურდა ლუგანსკელი დიდოსტატი ზოია ლელჩუკპოპოვა. ქეთევანი დასაწყისშივე შეფერხდა: ორი პარტია წააგო, ერთი ჯანჯღავასთან, მაგრამ როდი გაუცრუვდა იმედი. ჩვეული მონდომებით მოიკრიბა ძალღონე და ფვალში ჩაუდგა ერთპიროვნულ ლიდერს. მან მომდევნო 11 შეხვედრაში 10,5 ქულა დააგროვა (მოუგო ზ. პოპოვასაც) და ერთპიროვნულად თავად ჩაუდგა სათავეში ტურნირს. ბოლო სამი პარტიის ყაიმით დამთავრების მიუხედავად იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ოლიმპიური გუნდის საგზურსაც თავად დაეუფლა.

ჩემპიონატის ახალშობილმა ნათია ჯანჯღავამ მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა.

ქეთევან არახამია 22 წლისაა. იგი თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დიპლომანტია. მან პირველად დაიმშვენა მკერდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით. მანამდე ქართველებიდან ჩემპიონები იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი (1964, 1973, 1981, 1983, 1985 წწ.), ნანა იოსელიანი (1981, 1982, 1986, 1987 წწ.), ნანა ალექსანდრია (1966, 1968, 1969 წწ.) და მაია ჩიბურდანიძე (1977 წ.). ასე რომ, ქეთევანის მედალი მეცამეტეა ქართული ჭადრაკის საგანძურში.

## ორი სიტყვა ოლიმპიადაზე

ქალთა XIV საჭადრაკო ოლიმპიადა, ანუ „ერთა ტურნირი“ მოეწყობა 1990 წლის 16 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე იუგოსლავიის ქალაქ ნოვი სადში. მოსალოდნელია 50 ქვეყნის გუნდის მონაწილეობა. მასპინძლები საგულდაგულოდ ემზადებიან მათ მისაღებად. ცხადია, გუნდებიც დიდ სამზადისში არიან.

უკვე ცნობილია საბჭოთა გუნდის სამი წევრი: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. ქეთევანი ამ შეჯიბრების დებიუტანტია. მაიამ ექვს ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, ნანამ — ორში.

გუნდის მეოთხე წევრის ვინაობას, ალბათ, პრეტენდენტთა ტურნირი გადაწყვეტს. ის საბჭოთა მოჭადრაკე (რომელიც კოლეგებზე უკეთ ითამაშებს, ესე იგი მაღალ ადგილს დაიკავებს, გუნდის წევრად გამოცხადდება. ვინ იქნება იგი: ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან კახიანი თუ ალისა გალიამოვა?

## პრეტენდენტთა ახალი ტურნირი

უკვე გადაწყდა, რომ ქალთა მსოფლიო პირველობის 1988-1991 წლების ციკლის პრეტენდენტთა ტურნირს უმასპინძლებს საქართველო, კერძოდ, ქალაქი — კურორტი ბორჯომი. ფიდე-ს პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის სურვილიც ეს იყო. შეჯიბრება 5 ოქტომბერს დაიწყება.

სტარტზე გამოვლენ ორ საზონათაშორისო ტურნირიდან სამ-სამი გამარჯვებული: ქალაქ აზოვში გამართულ ტურნირიდან ქეთევან კახიანი, ალისა გალიამოვა (ყაზანი) და ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), კუალა-ლუმპურის (მალაიზია) ტურნირიდან — ნონა გაფრინდაშვილი, სი ძიუანი (ჩინეთი) და ალისა მარიჩი (იუგოსლავია), აგრეთვე პრეტენდენტთა წინა (წყალტუბო, 1988 წ.) ტურნირის პრიზიორები ნანა იოსელიანი და ელენა ახმილოვსკაია-დონალდსონი (აშშ).

შესაძლოა, რომ ტურნირში ათი მონაწილე იყოს. ფიდე-მ პერსონალურად მიიწვია მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო რეიტინგების მქონე უნგრელი დები იუდით (2540) და ჟუჟა (2510) პოლგარები. მაგრამ, ითამაშებენ თუ არა ისინი ბორჯომში, ჯერ ცნობილი არ არის. რა თქმა უნდა, მათი მონაწილეობა პაექრობას სიმძაფრეს შემატებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ტურნირში პირველი და მეორე ადგილების მფლობელები გაისად გაზაფხულზე გამართავენ დამატებით შეხვედრას მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან მატჩის თამაშის უფლებისთვის. ეს მატჩი კი 1991 წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი.

ჩვენ არ შევუდგებით პროგნოზებს, მონაწილეთა შემოქმედების გარჩევას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათ შორის სუსტი არავინ არის. ახალგაზრდები საკმაოდ მომზადებული, ერუდირებული მოჭადრაკეები არიან. თანაც ბრძოლამოწყურებულნი. მაგალითად, ჩვენმა ქეთევან კახიანმა ამ დღეებში მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 20 წლამდე გოგონათა შორის. ეს შეჯიბრება ჩილეში ჩატარდა. სხვათა შორის, ახალგაზრდა პრეტენდენტებს ქეთევან კახიანსა და სი ძიუანს ფიდე-ს უახლოესი კონგრესი (იგი ნოვი სადში გაიმართება ოლიმპიადის დროს) საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს. უეჭველია, რომ გამოცდილი პრეტენდენტები არა ნაკლებ მომზადებული და მებრძოლი არიან. გამოცდილება ცოტას როდი ნიშნავს.

მანამდე 10 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება მატჩი ნინო გურიელსა და სვეტლანა პრუდნიკოვას (მოსკოვი) შორის პრეტენდენტთა ტურნირის კანდიდატის საგზურისთვის. ხომ შეიძლება ვინმე ავად შეიქნას და ტურნირს გამოეთიშოს. მეტოქეები შემთხვევით არ შეირჩნენ. გურიელმა კუალა-ლუმპურში, პრუდნიკოვამ კი აზოვში მეოთხე ადგილები დაიკავეს. ისინი ურთიერთობას 6 პარტიაში გაარკვევენ.

სამწუხაროდ, პრეტენდენტთა ტურნირში ვერ ვიხილავთ აღიარებულ დიდოსტატებს ნანა ალექსანდრიასა და ქეთევან არახამიას. პირველს ხელი მოეცარა კუალა-ლუმპურში (მეათე ადგილი დაიკავა), მეორეს აზოვში (მეექვსე ადგილზე გავიდა).

## საიმედო ცვლა

განვლილ ზაფხულს გაგვახარეს ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა. მხედველობაში გვაქვს თეა ლანჩავას (თბილისის ფიზიკა-მათემატიკის პროფილის № 187 სკოლა) და დიანა დარჩიას (ბათუმი) მიერ თანატოლთა შორის მეორედ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

თეამ გაიმარჯვა სინგაპურში 16 წლამდე გოგონათა შორის. მან 11 შეხვედრაში 8,5 ქულა დააგროვა. შეჯიბრებისთვის მას ნონა გაფრინდაშვილი ამზადებდა. დიანამ თავი ისახელა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ 14 წლამდე გოგონათა ასპარეზობაში, სადაც 11-დან 10 ქულა მოაგროვა.

ჩვენს სახელოვან დიდოსტატებს საიმედო ცვლა მოჰყვება.

## დაბოლოს: კასპაროვ-კარპოვის მატჩი

ამ შეხვედრას ჭადრაკის სამყარო შეუნელებელი ინტერესით მოელის, იგი მეხუთე იქნება 1985 წლიდან, როცა მათი „მარათონული სპორტული დუელი“ დაიწყო. როგორც იცით, პირველი მატჩი ჩაიშალა, როცა 48 პარტიის შემდეგ კარპოვი ლიდერობდა (მოგებებით 5:3), მეორე და მესამე მატჩები კასპაროვმა მოიგო, მეოთხე (1987 წ.) ყაიმით დამთავრდა.

ახალი მატჩი (გათამაშდება 24 პარტია) ორ ეტაპად მოეწყობა. 7 ოქტომბერს ნიუ-იორკში დაიწყება მისი პირველი ნახევარი (12 პარტია), ხოლო 23 ნოემბრიდან იგი ლიონში (საფრანგეთი) გაგრძელდება. ჯილდოდ დაწესებულია: გამარჯვებულისთვის 1 მილიონ 800 შვეიცარიული ფრანკი, დამარცხებულისთვის 600 ათასი ფრანკით ნაკლები.

გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი გამალებით ემზადებიან მღელვარე პაექრობისთვის. მათ გამოაცხადეს თავიანთი სეკუნდანტებად: კასპაროვმა—მიხეილ გურევიჩი, სერგეი დოლმატოვი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე; კარპოვმა — იგორ ზაიცევი, მიხეილ პოდგაეცი და ამერიკელი დიდოსტატი რონ ჰენლი. სხვათა შორის, კასპაროვმა ერთი გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა, რომ იგი თითოეულ თავის სეკუნდანტს 30 ათას დოლარს გადაუხდის საკუთარი ჯიბიდან. ალბათ, მატჩის მოგების შემთხვევაში.

ანატოლი კარპოვი ოპტიმისტურადაა განწყობილი. აი, მისი სიტყვები ერთი ინტერვიუდან („ტაგესანცაიგერ“, ციურიხი):

—„ვფიქრობ, რომ ამჟამად მზად ვარ კასპაროვთან შეხვედრისთვის და თუ ოქტომბრის ბოლომდე შევძელი სპორტული ფორმის შენარჩუნება, ჩემი შანსები საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება თვით მატჩს, დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად აიღო სტარტი და შემდგომ შეინარჩუნო თამაშის მაღალი დონე“.

გარი კასპაროვიც იმედით შეჰყურებს მომავალ ბრძოლას. მას სჯერა, რომ კვლავ გაიმარჯვებს. იგი ამბობს, რომ ამ მატჩში წერტილი უნდა დაუსვას „კარპოვის პრობლემას“,—ისე სასტიკად უნდა დაამარცხოს იგი.

ერთი სიტყვით, ამ შემოდგომაზე ჭადრაკის გულშემატკივრები მღელვარე შეჯიბრებების მოწმენი იქნებიან.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

# ოთხი მატჩი

ოთხშაბათს, 5 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში. თბილისში, ეროვნულ სტადიონზე „იბერია“ მასპინძლობდა ფოთის „კოლხეთს“. თბილისელებს კარგად ახსოვდათ, რომ ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნისას ხომ სწორედ „კოლხეთისაგან“ იგემეს დამარცხება და ამიტომაც ისინი რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე. მათი უპირატესობა პირველ ტაიმში სამი გატანილი ბურთით გამოიხატა კიდევაც — თავი გამოიჩინეს ზაზა რევიშვილმა, გია გურულმა და თემურ ქეცბაიამ. აღნიშნული ფეხბურთელები გატანილი გოლების გარდა საკმაოდ აქტიური თამაშითაც გამოირჩეოდნენ ორი ტაიმის განმავლობაში. „იბერიას“ ამას გარდა არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდა და თუმცა, მეორე ტაიმში შედარებით უკლო თამაშის ტემპს, მის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის არ შეპარვია.

რაც შეეხებათ ფოთის „კოლხეთს“, უნდა აღინიშნოს, რომ მათ არც ერთი სერიოზული საფრთხე არ შეუქმნიათ მეკარე ზაურ ხაპოევის კართან. ერთადერთი, რაც მათ აქტივში შეიძლება ჩაითვალოს, იყო ნუგზარ თვარაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომელიც ოდნავ ასცდა კარს. აქ საჯარიმო დარტყმა ვახსენეთ და არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისელთა ნახევარმცველის გია ჯიშკარიანის მიერ მეტად ოსტატურად შესრულებული საჯარიმო, რომლის შემდეგაც მხოლოდ ძელმა იხსნა მეტოქეთა კარი მორიგი უსიამოვნებისაგან...

მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა რუსთავში ადგილობრივ „გორდასა“ და სოხუმის „ცხუმს“ შორის. თავდაპირველად რუსთაველები საკმაოდ აქტიურობდნენ და სულ მალე პარტნიორების მიერ წამოწყობილი კომბინაცია მეტად ეფექტური დარტყმით დაამთავრა თამაზ მეტრეველმა. სოხუმელები ბევრს ეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას და სულ მალე პენალტიც დაიმსახურეს, მაგრამ „გორდას“ გამოცდილმა მეკარემ ალექსანდრე მეშკოვმა შესძლო ბურთის მოგერიება. ამის შემდეგ კი, როგორც ხშირად ხდება ფეხბურთში, სოხუმელებმა საკუთარ კარში მეორე ბურთიც მიიღეს, რომელიც ახალგაზრდა თავდამსხმელმა კახა ბერიძემ გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი სოხუმელებმა მაინც შესძლეს მეტად საჭირო გოლის გატანა, როდესაც მათმა სახიფათო თავდამსხმელმა მიხეილ ჯიშკარიანმა არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით ბურთი მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში მოათავსა.

დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე მატჩი ლანჩხუთში, სადაც „გურია“ ქუთაისის „ქუთაისს“ მასპინძლობდა, მაგრამ ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა — იმდენად დიდი იყო „გურიის“ უპირატესობა. ლანჩხუთელებმა მეტოქის კარში ხუთი ბურთი გაიტანეს (ბესიკ ფრიდონიშვილი-2, რობერტას ფრიდრიკასი-2, ოთარ კორღალიძე), რაც ქუთაისელებმა მხოლოდ დავით ჯანაშიას ერთადერთი გატანილი გოლით უპასუხეს.

რაც შეეხება მეოთხე წყვილს ოზურგეთის „მერცხალისა“ და ბათუმის „ბათუმის“ მონაწილეობით, აქ ფრე აღინიშნა — 1:1.

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები გაიმართება 19 სექტემბერს.

# მოკლედ

ნიუ-იორკში, „ფლაშინგ მიდოუს“ კორტებზე გრძელდება ამერიკის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ჩვენმა თანამემამულემ ლელა მესხმა, მიუხედავად მეოთხედფინალში დამარცხებისა, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მესხი დამარცხდა მეტად დაძაბულ ბრძოლაში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანთან, არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან—6:7, 4:6. ლელა მესხი ტურნირს მაინც არ გამოეთიშა და ახლა ნატალია მედვედევასთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში ცდის ძალებს.

●

ტოკიოში სტარტი აიღო მსოფლიოს ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სამი ქართველი ათლეტი გამოდის—ავთანდილ გოგოლიშვილი (82 კგ.), ლერი ხაბელოვი (100 კგ.) და დავით გობეჯიშვილი (მძიმე).

# ორი რომანი ერთ წიგნად

ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ ზაურ კალანდიას ორი რომანი გამოსცა — „ზვარაკი“ და „ჟამი მესამე“. პირველი მათგანი ამ ხუთიოდე წლის წინათ იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“, მაშინ რომანმა მკითხველთა ყურადღება თავისი დინამიური თხრობით, მასში შემოტანილი დეტექტიური ელემენტებით მიიპყრო. მისი მძაფრი სიუჟეტით კინემატოგრაფისტებით დაინტერესდნენ და რომანის მიხედვით მხატვრული ფილმიც შექმნეს, რომელიც ეკრანებზე მალე გამოვა.

„ჟამი მესამე“ ახალი ჟამის დადგომისას საკუთარი სულის გადარჩენისათვის ბრძოლაა. ეპოქა დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, ახალ დროს ახალი ცხოვრება, ღირებულებათა გადაფასება მოჰყვება და ძალაუნებურად ირღვევა ტრადიციები. ზნეობრივი „გადარჩევისას“ კი ყველას როდი შეუძლია გადარჩეს. ეს მხოლოდ მაღალზნეობრივ პიროვნებათა ხვედრია. რომანებში დასმული პრობლემები თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებს ეხმაურება. ამიტომაც, ვფიქრობთ, მკითხველი მათ ინტერესით მიიღებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-06-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.